ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

43-05-4-201810111257

ქ. ბათუმი

11/10/2018

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 05/43

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
„ღია კარის“ სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონისა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 103-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საკრებულოს „ღია კარის“ სხდომა მოწვეულ იქნეს 2018 წლის 19 ოქტომბერს, დღის 11 საათისათვის.

2. საკრებულოს „ღია კარის“ სხდომა გაიმართოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ლუკა ასათიანის სახელობის საკრებულოს სხდომათა დარბაზში (ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ.№25, მეორე სართული).

3. საკრებულოს აპარატმა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით უზრუნველყოს შემდეგი ორგანიზაციული საკითხების გატარება:

ა) მოქალაქეთა განცხადებების რეგისტრაცია და გამომსვლელთა სიის შედგენა;

ბ) საკრებულოს წევრთა გაფრთხილება სხდომის გამართვის თაობაზე;

გ) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის ხელმისაწვდომ ადგილას და საკრებულოს ვებ-გვერდზე (batumicc.ge) განთავსება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე

საკრებულოს თავმჯდომარე